

ქართუელი!

„...ბრ ხელ რაიღუნს ყინს რაჩხ რინს რხუნსაჲ რაქაქინს“

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი ❖ №16, 2000 წელი ❖ ფასი 30 თეთრი

ინფორმაციები

2001 წლის 15 იანვარს ჩატარდება საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს აფართოებული სხდომა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ქუთაისის ენის სამმართველოს ანგარიში ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ და გაიმართება დისკუსია თემაზე:

„საქართველოს სახელმწიფო ენა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“. დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ:

ლევან ღვინჯილია — საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე

მანანა ტაბიძე — თბილისის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

თინათინ ღვინაძე — თბილისის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

აუთანდილ ნიკოლეიშვილი — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მარინე ქაცარავა — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე ქუთაისში მოღვაწე ფურნაღისტები.

დისკუსიაში მონაწილეობის საშუალება მიეცემა ყველა დაინტერესებულ პირს.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს აფართოებული სხდომა ჩატარდება ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთი „ქართულის“ რედაქციამ აცხადებს კონკურსს მკითხველთა წერილებისთვის. სტატიები უნდა მომზადდეს შემდეგი რუბრიკებისთვის: „სახელმწიფო ენა და სკოლა“, „სახელმწიფო ენა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“, „საღიტიურატურო ენა და დიალექტები“, „სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები“, „ჩვენ, ენა და ქენა“, „სხვა ენები და ვრები“, „უცხო სიტყვები“, „ტერმინოლოგია და საქმისწარმოება“...

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს (მოსწავლეს, სტუდენტს, დოქტორ-მოსწავლედებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს). წერილები უნდა წარმოადგინოს ენის სამმართველოში 2001 წლის 1 მარტამდე. შედეგს შეაჯამებს სარედაქციო საბჭო. თითოეული რუბრიკის მიხედვით გამარჯვებული კონკურსანტი დაჯილდოვდება, საუკეთესო სტატიები დაიბეჭდება გაზეთი „ქართული“ში!

ნებისმიერი ენა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ გარემოში და კულტურულ-ტრადიციულ ვითარებაში თავისი განვითარების ორიგინალურ, ისტორიულ-პოლიტიკური სპეციფიკით განპირობებულ გზას ირჩევს. კროსკულტურული, ტიპოლოგიური კვლევები, რა თქმა უნდა, ენათა (მონათესავე და ერთმანეთისაგან შორს მდგომ ენათა) მსგავსების მრავალ მაგალითს გვთავაზობს, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით ამ ენათა ერთგვაროვანი შეფასება, ცხადია, ამის საფუძველზე ვერ მოხერხდება. ენის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ის დარგი, ის სფერო, სადაც ამ ტერმინმა უნდა „იმუშაოს“. ლინგვისტიკისათვის ენა სხვაა და პოლიტიკოსის ან სოციოლინგვისტიკისათვის — სხვა. სირთულეს ის ქმნის, რომ ხშირად ლინ-

გვიტ, საბჭოთა კავშირის სხვა ყოფილ რესპუბლიკებთან ერთად უცხოეთის (მოწინავე ქვეყნების) ყურადღება მიიპყრო. საქართველოს და მის ენას ახლა სწავლობენ, როგორც ეთნოკონფლიქტების კერას, ტერიტორიულ-პოლიტიკური და შლის საფრთხის წინაშე მდგომ სახელმწიფოს, სატრანზიტო თუ სანავთობო გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს, უმცირესობათა ენობრივ-პოლიტიკური პრობლემებით შეჭირვებულ ქვეყანას, პუმანიტარული დახმარებების მომწოდებელ სახელმწიფოს, იაფი მუშახელის წყაროს უცხოეთის სახელმწიფოებისათვის და სხვ. ინტერესი ჩვენი პრობლემებისადმი ხშირად ნაკარნახევი არცთუ მთლად სასიკეთო მისწრაფებებით, ხოლო ზოგ შემთხვევაში იგრძნობა მი-

„იერიში ქართველი ერის ენობრივ და ეთნიკურ მთლიანობაზე“

გვისტური ტერმინები უმარტებულად გამოიყენება პოლიტიკაში. ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური სივრცის მთლიანობის საკითხიც ბოლო დროს პოლიტოლოგთა კვლევის არეში მოხვდა და ტერიტორიული და პოლიტიკურად დასუსტებული საქართველოსათვის ახალ საშიშროებათა სათავედ წარმოიჩინა. ჰუმბოლდტი ერს მიიჩნევდა ადამიანური სულის ინდივიდუალიზაციის ისეთ ფორმად, რომელსაც აქვს ენობრივი სტატუსი. და იქვე დასძინდა: ის ფაქტი, რომ ერებს კაცობრიობის სულიერი ფორმა ვუწოდებთ, სულაც არ ნიშნავს მათი რეალობისა და მიწიერი ყოფის უგულვებლყოფას. მას აქვს დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღემდე გრძელდება კამათი ერის განსაზღვრის, მისი ნიშან-თვისებების, ენისა და მისი სხვადასხვა გამოვლინების კვალიფიკაციისა და სხვ. საკითხებზე.

თანამედროვე მსოფლიოში ორი ტენდენცია იკვეთება; ერთიანგლობალიზაციისაკენ სწრაფვა, რაც, ერთი შეხედვით (და საუკეთესო გაგებით) კულტურათა დაახლოებას, საერთო სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებასა და საერთო ჰუმანიტარი პრინციპების შემუშავების საქმეს ემსახურება, ხოლო მეორეა — აკუთარი ტრადიციებისა და კულტურული საზღვრების შენარჩუნებაზე ზრუნვა, რაც არსებითად ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ენას ორივე შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის განსაკუთრებულად ინარჩუნებს წარსულთან, ტრადიციებთან კავშირს და ამასთანავე, „გლობალური“ კონტაქტების მიმართაც უაღრესად მგრძობობა იყავს. მაგრამ ბოლო დროს გაჩნდა ტენდენცია, რომ ტრადიციათა დაცვა და პატრიოტიზმი რეაქციულად (უკეთეს შემთხვევაში კი ჩამორჩენილობად და რუმინტიკოსობად) მონათლონ, ხოლო გლობალიზმ-პროგრესად და ჰუმანიზმად, მაშინაც კი, როდესაც გლობალისტი ნაციონალური სახელმწიფოს გადაკეთებას ლამობს ახალი, „გლობალური“ რეალობის მოსაწყობად ისე, რომ ეროვნული სახელმწიფოს წარმომადგენლებს არც კი ეკითხება. სამწუხაროდ, ჩვენშიც გამოჩნდნენ გლობალისტური მანტიის მორგების მოსურნენი და ეროვნული გრძობების დამკობნი. და ამგვარმა მოაზროვნებმა, შინაც და გარეთაც იერიში ეროვნულ ფასეულობებსა და ქართველი ერის ენობრივ და ეთნიკურ მთლიანობაზე მიიტანეს.

ქართული ენისადმი ინტერესი საზღვარგარეთ ყოველთვის ჰქონდათ და არც ამჟამად განელებულა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ინტერესის ხასიათი თვისობრივად შეიცვალა. თუ ადრე ქართული ენის სტრუქტურის საკითხები ძირითადად თეორიული ლინგვისტიკის კვლევის ობიექტს წარმოადგენდა, ახლა წინ წამოვიდა გამოყენებითა ლინგვისტიკამ და სოციოლინგვისტიკამ. ამჟამად ქართულმა სინამდვილემ პოსტსაბჭოური სპეცი-

კერძობული, ცალმხრივი ახსნა ჩვენი რეალობის, თავისებურებებისა თუ ისტორიისა.

საქართველო ამჟამად მრავალი დიდი და ძლიერი სახელმწიფოს ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ჩვენთვის უდავოდ საინტერესოა, თუ რას ამბობენ და წერენ ჩვენს შესახებ უცხოელები. სამწუხაროდ, ეკონომიკური სიდუხჭირე, სახელისუფლებო ფონდების სიმწირე და სუსტი ორგანიზაციის გამო სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის საერთაშორისო კონტაქტების მიუწვდომლობა თითქმის იზოლაციაში აქცევს ჩვენს მეცნიერებს და რთულდება „გარეთ“ მიმდინარე პროცესებისათვის თვალყურის მიღებება. საყურადღებო კი ძალიან ბევრია;

მაგალითად, უკვე მეხუთედ ჩატარდა ამერიკის შერეობული შტატებში ფართო კონგრესი ეროვნებათა, ენათა, კულტურათა შესახებ, სადაც მუშაობდა საგანგებო განყოფილება კავკასიის თემებზე და მასში საგანგებო სექცია, დაკავშირებული საქართველოსთან: ეროვნებათა შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის ყოფილი უფროსი კონგრესი (რომელიც დაარსდა პარიზის ინსტიტუტის მიერ და კოლუმბიის უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს), ერთ-ერთ სექციად საქართველოს თემსაც გამოყოფს. ამ ასოციაციის წევრები არიან მეცნიერები, ყურნალისტები და პოლიტიკოსები, ეროვნული თვითაღქმის საკითხებით, ეთნოკონფლიქტებითა და სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებით დაინტერესებული პირები, რომლებიც პოსტკომუნისტურ სივრცეს შეისწავლიან. ეს ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა დაარსებიდან (1956 წლიდან) დღემდე. კერძოდ, უკვე 1998 წელს 450 მონაწილე და 60 გულგანს შედგებოდა და აქედან დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის წარმომადგენლებმა ბოლო წლებში მონაწილეობა თითქმის მესამედი შეადგინეს...

(Annual Convention, Association for the study of the Nationalities, (ASN Fourth Annual Convention, International Affairs Building, Columbia University, April 15-17, 1999. Sponsored by the Hariman Institute), მაგ. 1999 წლის კონგრესის მთავარი თემა იყო აღმოსავლეთი ევროპისა და პოსტ-საბჭოთა მოსახლეობის თვითაღქმის (identity) საკითხები.

აი, მკვალთად, რამდენიმე მოხსენების სათაური: გუდით ჰინი, ეთნიკური და ცივილური თვითაღქმა საქართველოში. მოსახლეობის ძირითადი ჯგუფების შედარების საფუძველზე: ქართველები და სომხები. (Judith Hin, Ethnic and Civic identity in Georgia. A comparison between the main population groups: Georgian and Armenians); მონიკა დაფი, ნაციონალიზმის ასახვის ორი გზა აქარის ასპექტი. (Monica Duffy Toft (John M. Olin Institute for Strategic Studies Harvard

ქუთაისის ენის სამმართველომ 4 წლის ლიდინის შემდეგ თრა საშუალო თობაში მიიღო. ახალმოსახლეობას საახალწლოდ ადგინდა. ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო მადლობას უხდის ქალაქის ხელმძღვანელობას სახელმწიფო ენის სამსახურში მყოფი ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს თანამშრომელთა შრომის შედეგების გულთან მიტანისათვის! ჩვენი ახალი მისამართია: შ. ფალიაშვილის ქუჩა №2, 11 სართული (ყოფილი წმინდა ნინოს მუნიციპალიტეტის შენობა)

University), Two-way mirror nationalism: the case of Ajaria); სთიმ ბალიმ-ჰარდინგი (მანჩესტერის უნივერსიტეტი), ასივგულ აიდინგანი (შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი) ენა როგორც ხსნი იარაღი; მესხეთელი თურქები.

(Cigdem Balim-Harding (University of Manchester), Aysegul aydingun

(Middle East Technical University), Language as a tool of survival: The Meskhetian Turks.

შედეგად ქართველოლოგმა კარინა ვამლინგმა სიმპოზიუმში მოახსენა მეგრული ენისა და მეგრულთა თვითაღქმის (identity) შესახებ და როგორც თავად გვიამბო, მსმენელთა დაინტერესება ძალიან დიდი იყო; შედეგის რუნდის უნივერსიტეტის დოქტორანტმა შიფტე ამირაქველითმა გააცხატა მოხსენება საქართველოში აზერბაიჯანელთა ეროვნული უმცირესობის ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმის შესახებ. იყო მოხსენებები რუსეთში მცხოვრები ქართველების ეროვნულ-ენობრივი თვითშეგნების შესახებ და სხვ. მოხსენებებში დასმული იყო ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ენობრივ უმცირესობად, ეროვნებად ან ეთნიკურ ჯგუფად კვალიფიკაციის, ტერიტორიული თუ სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისა თუ პრეტენზიების საკითხები და სხვ.

თუ დავაკვირდებით, ძირითადად რა საკითხები აინტერესებდა უცხოეთში ჩვენს შესახებ, დავინახავთ, რომ უპირატესობა ენიჭება მწვავე საკონფლიქტო თემებს (სადაც უკვე არის ხელნაწერი კონფლიქტი ან შესაძლოა, აპირებენ კონფლიქტის პროვოცირებას). თვითაღქმა ის სფეროა, რომელიც ეროვნულობის სხვა ნიშნობათ ერთად ხალხის ნაციონალური კონსოლიდაციის საფუძველს გააზრების საუშალებს იძლევა. როგორც ჩანს, ჩვენშიც უნდა გააქტიურდეს კვლევები ამ მიმართულებით, რათა არა მხოლოდ ფეხი აფეხით თანამედროვე სამეცნიერო პროცესებს, არამედ თავადვე ეპოვოს სწორი პასუხები საერთო კითხვებზე და სხვა დაინტერესებულ პირთაც გააცნობო ჩვენი თვალსაზრისი. ვარდა ამისა, სასურველია სხვა ქვეყნებისა და ენების სათანადო გამოკვლევების გათვალისწინება.

არ უნდა დავაკვირდებოდნენ, რომ ენობრივი კოლექტივის ურთიერთობა რთულსა და მრავალფეროვან პერსპექტივებს შეიცავს. ამ ურთიერთობებში დაახლოების ან დაშორების ხელნაწერად სტიმულირება, ენის ფუნქციონირების ბუნებრივი გზის გაზრდების მიცელობა პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნებით ენობრივი კონტაქტების უმსუხუბველო რეგულირება შესაძლებელია ენობრივი კონფლიქტების მიზნად გახდეს. ხოლო ენობრივი კონფლიქტი უბრალო შემთხვევაში ეთნოკონფლიქტს მიაქვია.

მანანა ტაბიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ენა და კლასიკოსები

ილია ჭავჭავაძე

«ურნალ-გაზეთობა- ცხოვრების სარკე»

„რა დანიშნულება აქვს ურნალ-გაზეთობას, რა ღონეა, რა ძალა, რა ფარ-ხმალია ადამიან-
სათვის ცალკე და საზოგადოებისათვის საერთოდ, რის უფლებას აძლევს მას, ვინც მავის
ასპარეზზედ გამოვა და რა მოვალეობას სდებს კისრად“.

„ურნალ-გაზეთობა არის ერთგვარი ნაწილი მწიგნობრობისა, როგორც მთელს მწიგნობრობას, როგორც ყოველის გონებითსა
ძალას ადამიანისას და მის ნამოქმედარს, ისე ურნალ-გაზეთობას საგნად ადამიანის ცხოვრება აქვს“.

„ურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს: ერთის მხრით, იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის,
გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა. მეორეს
მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება
ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა“.

„როგორც უნდა იყოს ცხოვრება, ძლიერი თუ უძლური, მაღალი თუ მდაბალი, ურნალ-გაზეთმა უსათუოდ უნდა თვალი
დააკვიროს, უნდა შეისწავლოს, უნდა განმარტოს.“

„პატივისცემა კერძო პირისა და საზოგადოებისა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს
ურნალს თუ გაზეთს... ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი
სიტყვა უთხრას. ისე უთხრას რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძობა,
ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის
და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს“.



ენა და მასობრივი ინფორმაციების საშუალებები

თანამედროვე ქართული პრესის ენის ხიჯი საკითხი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტის ქართული მეც-
ველების კულტურის განყოფილების
კრებულის „ქართული სიტყვის კულ-
ტურის საკითხების“ III წიგნი, რომე-
ლიც 1980 წელს დაიბეჭდა, მთლიანად
დაეთმო 70-იანი წლების ქართული
პრესის ენის თავისებურებების
განხილვას. განხილული იყო, ძირითა-
დად, ლექსიკურ-გრამატიკული და სტი-
ლისტიკური საკითხები. მაშინ სპეცია-
ლურად არ ყოფილა საუბარი ორთოგ-
რაფიული დარღვევების შესახებ. ვი-
ნაიდან საკმაოდ დრო არ იყო გასული
ურველი ორთოგრაფიული ლექსიკონისა
(1968 წ.) და უნიფიცირებული ნორმების
კრებულის (1970 წ.) გამოსვლიდან — ამ
ნორმათა სწავლება-დანერგვას მეტი
დრო ეხაჭირებოდა.

დრომ საკვირვარს ვერ უშველა. კვლავ
საკმაოდ რაოდენობით გვხვდება სულ
სხვადასხვა სახის ორთოგრაფიული
შეცდომები. თუმცა, ალბათ, ვერ წარ-
მოვიდგენთ ვერც ერთ სალიგერაგურ
თენას, რომლის განვითარების პრო-
ცესში თავს არ იჩენდეს სულ ახალ-
ახალი მოვლენები; მაგრამ კარგა ხნის
წინ დადგინდა ორთოგრაფიული ნორ-
მების ასე ხშირად დარღვევა, დღევან-
დელ სალიგერაგურო ქართულში და
უბრალოდ კი პრესის ენაში რომ
გვხვდება, არც ერთი სალიგერაგურო
ენისათვის არ იქნება გამართლებული.
მთი უმეტეს, რომ სწავლა საზოგადოებამ
1998 წელს მიიღო ქართული ენის ორ-
თოგრაფიული ლექსიკონის ახალი, ბევ-
რად უფრო ზრცული გამოცემა.

თანამედროვე პრესის ენაში კვლავ
გვხვდება:

1. წმინდა ორთოგრაფიული უზუს-
ტობები უნდა თუ საკუთარი სიტყვების
დაწერისას: გრამეზა, რეპინაიცია,
კომულიტეტი ან კონულიტეტი, კონდენ-
ციირი, ექსკალიტორი. (უნდა იყოს:
გრამეზა, რეპინაიცია, კონულიტეტი, კონ-
დენციირი, ექსკალიტორი...); საშვადება,
ქლა, მართამაილდელური... (უნდა იყოს:
საშვადება, ახლა, მართამაილდელუ-
რი...)

2. უხეში გრამატიკულ-ორთოგრაფი-
ული დარღვევები სახელთა ბრუნვისას:
ა) მიცქმითში ერთი ს- მთავე თანხმო-

ვანზე გათავებულ ფუძეებთან (ლოს-
ანელებს, მარკეს და მისთ. ნაცვლად სწო-
რი ფორმებისა: ლოს-ანელებს, მარ-
კესს...); ბ) ვითარებით ბრუნვაში
დაბოლოებად -თ ნაცვლად -დ-სი: ძვი-
რათ, იაფათ, მუსგათ და სხვა; გ) იგივე
და ერთი და იგივე ნაცვალსახელების
არასწორი ბრუნების შემთხვევები: იგი-
ვეს (უნდა იმავეს), იგივემ (უნდა: იმა-
ვემ), ერთი და იგივეს ამბობს (უნდა:
ერთსა და იმავეს) და ა.შ. დ) კუთვნი-
ლებითი ნაცვალსახელი თავის-ი
ასახსნელ სიტყვასთან ყველა ბრუნვაში
ფუძითაა წარმოდგენილი, ე.ი. —ბრუნ-
ველად; თავის კანდიდაგურა, თავის კან-
დიდაგურის...

ასევე უხეში ორთოგრაფიული შეცდო-
მები გვხვდება მშინს ფორმათა მარ-
თლწერისას: გავეოციდი..., მოვკრიფოლ,
ვიბრძოლოლ..., ჩაარგყავს, უსვავს, დგავს...
ბრალს დებს, ცივათ, თხოვენ (ისინი მას),
ჭირს, ჭირდება (ის მას), ცემა (მან მას),
გამოცადა (მან იგი)...

ამ უკანასკნელ ფორმებში აკლია
ობიექტური მესამე პირის ნიშანი, ამის
საპირისპიროდ გვხვდება ამავე ნიშნის
ბელმეტობის შემთხვევებიც: სჩანს, სწარ-
მოებს... (ერთპირიან მზნებში) ანდა:
სთქვა, შესძლო, მოჰკლა... (ორპირიან
გარდამავალ მზნებში). ეს მოვლენები
სინტაქსურ-ორთოგრაფიული ხასიათისაა.
ამავე რიგისაა ასეთი უსწორო კონ-
სტრუქციები: ცემა მან იგი (უნდა: სცემა
მან მას).

თანამედროვე ქართული სალიგერა-
გურო ენის არსებული ორთოგრაფიული
ნორმების დანერგვის საქმე რომ კარ-
გად იყოს, ასეთი და მათი მსგავსი უზუს-
ტობები აღარ უნდა გვხვდებოდეს პრე-
სის ენაში.

მეორე მხრივ, არ შეიძლება არ აღი-
ნიშნოს, რომ თანამედროვე ქართული
პრესის ენა გათავისუფლდა 70-იანი
წლების პრესის ენისათვის დამახასია-
თებელი შგამებისა და უაზრო ვრცელი
კონსტრუქციებისაგან, რომლებიც, ძირი-
თადად, რუსული ენიდან თარგმნის გზით
შემოდიდა. ახლა აღარ ან იშვიათად
მეგვხვდება ასეთი შგამები: სწავლების,
მეცხოველეობის, რემონგის... საქმეში;
სგარგი აილო ახალმა სასწავლო წელ-
მა; ფინიში ჰქონდა; ავიდოთ (გადაუ-

ლახოთ, დავლაშქროთ...) მიჯნები (მღვა-
რი, საზღვარი); გამოვნახოთ რეზერ-
ვები... სამაგიეროდ გაჩნდა სხვა შგამ-
ები: კენჭისყრამე დაყენება, მო-
სახლეობამე (პენსიონერებზე, ლგოლ-
ვილებზე) დახმარების გაცემა და მისთ.
რომლებიც კალკირებულ შგამებზე უნ-
და ჩაითვალოს.

სპეციალური ყურადღების ობიექტია
თანამედროვე ქართული პრესის ენის
ლექსიკა, რომელიც აჭრელდა, ერთი
მხრივ, ესენგე, კავბე, გეკაჩეპე... გა-
მოთქმებით და, მეორე მხრივ, ლობი,
სპონსორი, პრეზენტაცია და მსგავსი
სიტყვებით, რომელთაც თავისუფლად
შეცვლიდა შესაბამისი შინაარსის ქარ-
თული სიტყვები: მფარველი, დამხმარე
(დამფინანსებელი), წარდგინება...

სალიგერაგურო ენის ნორმების და-
ნერგვა-დამკვიდრებისათვის პრესას მე-
ტის გაკეთება შეუძლია რადიოსა და
ტელევიზიასთან შედარებით. მას თვალ-
საჩინოების მეტი შესაძლებლობები აქვს.
ამიტომაც უფრო მეტად უნდა ვიყოთ
პრესის ენის მიმართ. ისეთი შთაბეჭ-
დილება რჩება, რომ აზრის გამოხატ-
ვის ენობრივი საშუალებები არავითარ
კონტროლს არ ექვემდებარება. ეს ერ-
თი მხრივ, შეიძლება კარგიცაა, ამას ის
დადებითი შედეგი მოჰყვება, რომ გაბე-
თის დამგამპული, უსიციოცლო ენა და-
უახლოვდა ხალხურ სასაუბრო ცოცხალ
ენას და გაბეთი უფრო ადვილად და
ინტერესით წასაკითხი გახდა. მაგრამ
არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ სასაუბრო
ენასთან ძალიან დაახლოვება სალიგე-
რაგურო ენისათვის ისევე არასასურ-
ველი მოვლენაა, როგორც მისგან ძალი-
ან დამორება. ამ მხრივ დიდი ზომიე-
რებაა საჭირო განსაკუთრებით გაბე-
თის მხრიდან. ამიტომ, ალბათ აჯობებს,
თითოეული გაბეთის ან კურნალის რე-
დაქციას ჰყავდეს სპეციალური თანამე-
შრომელი, რომელიც სალიგერაგურო
ქართულის ნორმების თვალსაზრისით
წაიკითხავს მთელს მასალას.

თინათინ ლინაძე
საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის არნოლდ ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-
თანამშრომელი

კაფიები მასმედიუნი ცენზინებზე

ზურგში

კარგია მუხლი მაგარი,
მაგარი ზურგიც კარგია;
როცა მაგარი მუხლ-ზურგით
მიგაქვს შენ შენი ბარგია,
ასეთი ტვირთი პატრონის,
სვანურად რომ ვთქვათ, მარგია.
მაგანთა ზურგის იმედით
ნუ დავიმშვიდებთ გულსა,
ერთხელ—კი, მაგრამ ყოველთვის,
არავინ გვიზურგულესა.
მგული ნადირობს, მზა მძორით
იმპორტლებიან ტურები,—
ერთხელ—კი, მაგრამ ყოველთვის
ნუ მომეზურკურები.
ისიც გვახსოვდეს, რომ ზურგმა
ართმევა იცის პავისა,
ბოლის ადენაც იციან
ზურგზე (თუ ვისმე ჰქავისა).

ლობი და ოფისი

ჩვენს დუშმანს ჰქონდეს იმედი
კულუარების, ლობისა,
სხვისგან დახსნილი მამულის,
სხვის ზარბაზნის და თოფისა,—
ხელგაშვერილის სიცოცხლეს
ისევ სიკვდილი სჯობისა!
მედროვეც მალე დაკარგავს
დილარით ნაყიდ ოფისსა
და იმის ნაცვლად მიიღებს,
მეგრულად რომ ვთქვათ, ოფისსა...

ზაფორა და ჯაფორა

ლაფის და ფურთხის ღირსია,
ვინაც ზეწოლას ეცოლა,—
თუ კანონს ფარად იფარებ,
ფეხებს ვერ მოგჭამს ზეწოლა!
ქვემწოლ-ზემწოლმა კანონი
გასთელეთ როგორც ნაბადი,
თან სიბინძურის ქექვისას
თვალებს სიამით ნაბავდიო.
თუ შენს უფლებას კი არა,
ზეწოლას ემორჩილება,—
მონა ხარ, შენფერ მონებად
დაგვზრდებიან შვილები.
ზემწოლი ხარ თუ ქვემწოლი,
ელიტა ხარ თუ შელიტა,
კანონს რომ არღვევ, ახვარო,
ყვლს იჭრი თავის ხელითა!
მუცლით ხიხვა და ქაწილა
ქვეწარმავალია წესია...
ესეც გახსოვდეთ, თქვენს ცოდვებს
სხვას არ მოჰკითხავს მესია!

„რბ მკნათი?“



სებულ აბრა-რეკლამებს, მათზე შეცდომათა აღმოფხვრის მიზნით. ბოლო ორი წლის მანძილზე ქუთაისის ენის სამმართველოს თანამშრომლებმა გამოავლინეს 100-ზე მეტი ენობრივი დარღვევა. უმეტესობა ამ შეცდო-



მცდარი ენობრივი თვალსაჩინოებების ჩამოსხნა-გასწორება, როგორც წინა ნომერში ვისაუბრეთ, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოსათვის (ვფიქრობთ, სხვა ანალოგიური სამსახურისთვისაც) მეტად აქტუალური პრობლემაა. სხვადასხვა მიზეზის გამო, დღემდე ვერ მოხერხდა ჩამოყალიბებული იყო ისეთი ერთიანი, მყარი იურიდიული თუ ადმინისტრაციული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული საკითხის უხარვეზო მოგვარებას.

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო რეგულარულად ამოწმებს ქალაქის ქუჩებსა და შენობებზე განთავ-



მათგან უკვე გასწორებულია. თუმცა არა ერთი „უწიგნური“ აბრა თუ რეკლამა ჩვენი ყურადღების არეში. ქვემოთ



გთავაზობთ მათ „სახესა“ და მისამართებს:
1. xerox (რუსთაველის გამზირის №93-95).
2. универсам universam link (რუსთაველის გამზირი №141).

3. პიპკების შეკეთება (წერეთლის ქ. №25)
4. краска (წერეთლის ქ. №177)
5. შერეული სასურსათო მალაზია (ნინოშვილის ქ. 1108)
6. შერეული მალაზია (ასათიანის ქ. №84)
7. ობოლების გასწორება (ალმაშენების გამზირი №20)
8. შერეული მალაზია (დავით და კოსტანტინეს ქ. №15).
9. შანს ოილ super Normal Deisel Kursunsuz super Motorin (წერეთლის ქ. №95)
10. შანს ოილ super Normal (ნიკეას ქ. №2)
11. სასურსათო შერეული მალაზია (ცხინვალის ქ. №2)
12. ვალისა და ბლოკის გამოჩარხვა (რუსთაველის გამზირი №156)
13. შერეული მალაზია „სათაფლია“ (თამარ მეფის ქ. №54)
14. იაფი აფთიაქი (თამარ მეფის ქ. №42)
15. ოსტრი (თამარ მეფის ქ. №32)
16. საერთაშორისო სალაპარაკო (რუსთაველის გამზირი №79)
17. ოსტრი (რუსთაველის გამზირი VIII ჩიხი №1)
18. ყველაზე იაფი სააფთიაქო მალაზია (ფალიაშვილის ქ. №27)
19. იაფი აფთიაქი (ნინოშვილის ქ. №40)
20. იაფი აფთიაქი (ნინოშვილის ქ. №47)
21. იაფი აფთიაქი (ნინოშვილის ქ. №55)
22. შერეული მალაზია (გამასხურდიას ქ. №2)
23. რაზვალი ობოლების აღდგენა (ჭავჭავაძის გამზირი №31)
24. შერეული კომერციული მალაზია (რუსთაველის გამზირი №174)
25. super normal deisel (ჭავჭავაძის გამზირი №51)
26. იაფი აფთიაქი (ჭავჭავაძის გამზირი №27)
27. იურ ტოგ Super Normal Deisel (ჭავჭავაძის გამზირი 1).


ჩვენ, ენა და ქუჩა



28. შერეული საჭონელი (ჭავჭავაძის გამზირი №9)
29. EFICSSONN (გრიშაშვილის ქ. №25)

წარმოდგენილი ენობრივი დარღვევების მქონე დაწესებულებების ხელმძღვანელობა ჩვენ არაერთხელ გავაფრთხილეთ. მათ არ ესმით ჩვენი ქართული და არც საქართველოს სახელმწიფო ენის ღირსება ადარდებთ. ჩვენ არ შეგვიძლია უხეში ძალით ვებრძოლოთ წარმოდგენილ ცდომილებებს, არადა, იურიდიული თუ ადმინისტრაციული მექანიზმი არ მოქმედებს, რა ვქნათ?

იოსებ იაბღანაშვილი



სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები

„პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი“ (იოანეს სახარება).

„ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა“ (საბა).

ღმერთი—უზენაესი ძალის მქონე უზუნებრივი ძალა, სამყაროსა და მისი კანონზომიერების პირველი მიზეზი, შემოქმედი და განმგებ.

ღმერთი—აბსოლუტურად თავისუფალი პიროვნება, უსასრულო ძალა, სრულყოფილი გონება და უსაზღვრო სიყვარული.

სიტყვა ღმერთი საერთო ქართველური ფუძეების კუთვნილებაა. მის არქტიპად ვარაუდობენ *ღრამთ ფორმას, რომლისგანაც ფონეტიკური ცვლილებებით უნდა იყოს მიღებული ქართული ღმერთი და მისი კანონზომიერი შესატყვისები: მეგრული ღორთი და სვანური ღერეთი/ღერბეთ (ზ. სარჯველაძე, პ. ფერხიხი).

ღმერთი—ადამიანის ცნობიერების ეს უპირველესი სიტყვა-საინტერესო ლექსიკური ერთეულია ლინგვისტური ასპექტითაც. იგი ქართულში წარმოდგენილია სემანტიკური მრავალფეროვნებით. რამდენადაც ღმერთი არის სამყაროს შემოქმედი და არსთა გამრიცხველი, კაცთა მოღვაწის მფარველი და უფალი, ქართველთა ენაშიც სწორედ ამ სიტყვას დაუკავშირა, ერთი მხრივ, ყოვლისშემძლეობის სემანტიკა („ამ

საქმეში მხოლოდ ღმერთი თუ გიშველის“, „მე ღმერთი კი არა ვარ, რომ სასწაულები მოვახდინო“, „ღმერთი ახსენე და გაუდგე გზას...“), და, მეორე მხრივ, შექმნა ამაღლებულის, უმშვენიერესის, ზეციურის, ზნეკეთილობის, სრულყოფილების... გამომხატველი ერთეულები: ღვთაური, ღვთისნიერი, ღვთისმოსავი, ღვთაებრივი, ღვთაებრიობა, ღვთისწყალობა, ღვთისმეტყველი, ღმერთივით კაცი, ღმერთქალი და ა.შ., რომ-

ღმერთი სხვა ფონეტიკური მოვლენებით: „ღმერთიან, ღმრთისა, ღმრთითა, ღმრთიანი“... („ვეფხისტყაოსანი“). „მსჯავრნი ღმრთისანი, ხატი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა“ (ეპოთა აღმწერელი) და ა.შ.

გამარტივებული (რედუცირებული) ფორმა ღმრთის დადასტურდა „რუსუდანიანიში“ (XVI სკ). შესაბამისად, მალევე მოხდარა მ/ვ-ს სუბსტიტუცია და „ღმერთი“ ქვეულა თავისებურად

ლი ვითარება და მომდევნო ხანის მწერლობის მონაცემებიც ცხადყოფს, რომ XVIII-XIX საუკუნეების ქართულში მკვიდრია გამარტივებული ფორმა, თუმცა ზოგჯერ სტილიზაციით შეპირობებული არქაული წარმოება იჩენს თავს.

ქველ-ის მიხედვით, თანამედროვე ქართული საბჭოთაო დირიქტორი ღმრთისა/ღვთისა (ნათ.), ღვთისა (მოქმ.), მაგრამ საგულისხმოა, რომ დღეს (ისევე როგორც XIX საუკუნის მწერლობაში) ღვთის, ღვთით, ღვთად ფორმითა გვერდით ხელ შესახებად ვლინდება მათივე შეუქმნავი ნიშნებიც: ღმერთის, ღმერთითა, ღმერთად, რაც არ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი. და ეს პარალელური წარმოება, რომელიც სასწავლო პრაქტიკაში წმინდა მორფოლოგიური ასპექტით ზოგჯერ სირთულესაც ქმნის, შესაძლებელია სემანტიკურ დიფერენციაციასაც გულისხმობდეს (საკითხი უფრო ვრცელ ანალიზს მოითხოვს).

მართალია, თანამედროვე ქართულში, ნებისით თუ უნებლიეთ, ზოგჯერ გრამატიკული წესებიდან გადახვევები ვხვდებით (მათ შორის, ჩვეთვის საინტერესო სიტყვის მართლწერაშიც), მაგრამ ისევ ქრისტე ღმერთის ღვთაებრივი ძალა დაიცავს ჩვენს მშობლიურ ენას, კვლავაც გააძლიერებს და განამტკიცებს ქართველობის ქვეყნარტ სიმბოლოს.

თავნა შანიანი

ღ მ ე რ თ ი

ლებიც მარგალიტებად დამკვიდრდნენ ჩვენი მშობლიური ენის სიტყვიერ ფონდში.

ღმერთი დადასტურებულია უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, როგორც საზოგადო სახელი. სათანადო ფორმებში, წესისამებრ, შეკუმშული ფუძით გვხვდება; აწარმოებს მრავლობით რიცხვსაც: „არა ზრახავ შენ ღმრთისას; ჰკითხვიდენ ღმერთთა მათთა. ღმრთით შთაგონებული. ღმრთად ყოფნა; ღმრთის მოშიში; ღმრთისმშობელი მარიაში...“ (ილია აბულაძე).

საგულისხმოა, რომ ძველი ქართულიდან მოყოლებული დაახლ. XVI საუკუნემდე საანალიზო სიტყვა მხოლოდ კუმშვადია და არ გვე-

ბრუნებად სახელად ღვთის ფორმით, რომლის პოვნეობა უკვე რეალური ფაქტია XVII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში: „მრავალ არიან წყალობანი ღვთისანი“ („მეფეთა სალარო“), „შენ ღვთისმშობელი“ (თეიმურაზ პირველი)...

სულხან-საბას თხზულებებში ჩვენთვის საინტერესო ლექსებმა პარალელური წარმოებით დასტურდება, კერძოდ: რელიგიური ხასიათის ქაღალტებში გამოყენებულია თავდაპირველი—ოდენ შეკუმშული ფორმა („სწავლა ღმრთისა ნიჭისა მარიამ არს წმიდა ღმრთისმშობელი“), ხოლო „სიბრძნე სიტყვისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ ღვთის ფორმას ავლენს. ზემოაღნიშნუ-

ოთხი საუხუნე, ვითარცა ოთხი წამი

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით, პირველიდან ათ ოქტომბრამდე კერძოდ, ფერეიდანში ვიმყოფებოდით თსუ ეთნოლოგიის კათედრის დოცენტი ითარ მიმინოშვილი, ფოტო ეურნალისტი მიხეილ როსტომაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი—თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი ნომადი ბართია.

რა ურთიერთობა არსებობდა აქამდე საქართველოსა და ფერეიდანს შორის? მოკლედ ამის შესახებაც გვინდა, მოგვითხროთ მკითხველს.

პირველი, ვინც საქართველოდან ფერეიდანს

მიწაზე დადგა ფეხი, ეს იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლადო აღნიაშვილი, ეს მოხდა ერთი საუკუნის წინ—1894 წ. მეორე გახლდათ ამაბაკო ქელიძე, რომელმაც 1927 წელს მოინახულა ფერეიდანი, ორივემ თავიანთი შთაბეჭდილებანი შესანიშნავი წიგნების სახით დაგიტოვეს.

წიგნები არა, მაგრამ ცოცხალი კადრებით შემოუწახეს ისტორიის ფერეიდნელთა სახეები კინოხელოვნებმა: ნიკოლოზ კანდელაკმა, გიორგი ასათიანმა, გურამ პატარაიამ და ირაკლი ონოფრიშვილმა.

სავიგებრობა ენა და დიალექტები

მეცნიერული მიზნით ფერეიდანში სხვადასხვა დროს იყვნენ ჩასული ცნობილი მეცნიერები: მაგალით თოდუა, თედო უთურგაიძე და დარეჯან ჩხუბინაშვილი.

ურთიერთობა ფერეიდანთან ცალმხრივი არ ყოფილა, უფრო მეტიც, პირველობა ამ საქმეში ფერეიდნელებს ეკუთვნის! ათამ ონიკაშვილი 1878 წელს ჩამოვიდა საქართველოში, საიდანაც გაიბა პირველი კავშირები საქართველოსა და ფერეიდანს შორის.

ათამ ონიკაშვილის კვალს საქართველოში 1896 წელს ხუციშვილი და ონიკაშვილი გამოჰყვანს. 1922 წელს საქართველოს ესტუმრა ფერეიდ-

ნელი სეფილა ოსელიანი.

სამოცდაათიან წლებში თვარაძე ოქანი დაუბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოს. მაგრამ მოხდა ისე, რომ გარკვეულ ვაჭრობისათვის გამო, ნახევარი უკან გაბრუნდა ირანში.

ფერეიდნელებმა ანუ ქალაქ ფერეიდანი ქართულად ზემო და ქვემო მარტყოფი რაიონიც 1965 წლიდან ფერეიდანს დასა ქალაქად იქცა ისტაპანის მხარის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულია იგი თავის მხარე ირან ნაწილისა და რვა სასოფლო თემისგან შედგება

(კავშირდება ქ-მ კვლეზე) ➔

სწორმეტყველება

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერა

პარდაბარი წყობის ბოლოთანხმობიან მსაზღვრელს ბრუნების ნიშნები დარღვევის სახელობითში, მოთხრობითისა და წიგნობითში, მიცემისა და ვითარებითში მთლიანად აქვს მოცემული ნათესაობისა და მოქმედებითში—ნაწილობრივ. ამ სახეობას გარდაამავალს უწოდებენ და სწორედ იგია ნორმა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. მაგრამ გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სხვადასხვა სახეობა: დიდს ამბით// დიდი ამბით, დიდითა წყალობითა // დიდი წყალობით ასევე: ჩემის აზრით// ჩემი აზრით. ერთ-ერთი მათავანის არჩევა დამოკიდებულია სტილზე, რომელიც დამწერს ან მეტყველს მართებულად მიიჩნია. მაგალითად: „სტუმარი დიდის ამბით გააცილეს“, „ჩემის აზრით, კაცში აღმართობაა მთავარი“—ამ შემთხვევაში ამაღლებული სტილია, მაგრამ: „პური დიდი დანით დაქრეს“, „ამ საკითხში ჩემი აზრითაც იხელმძღვანელეს“—სტილი ნეიტრალურია და არ ვამბობთ: დიდის დანით, ჩემის აზრითაც (გ. მაჭავარიანი).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით გარდამავალი სახეობის გვერდით შეიძლება დასაშვებად იქნეს მიჩნეული სრული სახეობა მიცემისა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდს საქმის), აგრეთვე—მოქმედებითისა და ვითარებითში (მოქმედებითში ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ვითარებითში—მიცემითი ბრუნვის ფორმით: დიდს საქმით, დიდს საქმედ). მოუხედავად ზემოთქმულისა, თანამედროვე ქართული ენა ამ საკითხშიც გამართიერების ტენდენციას ავლენს და გარდამავალ სახეობას ამჯობინებს. არასწორია დასავლურ დიალექტებში გავრცელებული გამოთქმები: დიდი საქმემ, დიდი საქმეს, დიდი საქმედ და მისთ. ამგვარი ფორმები უარსაყოფია.

რუსულან სალინაჰე

ოთხი საუენე, ვითარცა ოთხი ნამი

(დასაწყისი ან გვ. 3)

ქართველები ფერეიდნის თოთხმეტ სოფელში ცხოვრობენ, რომელთაგან ათ სოფელში ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. ქართველთა საერთო რიცხვი კი დაახლოებით თორმეტ ათასს შეადგენს.

სხვადასხვა დროს აღმოსავლეთის მბრძანებლებს ირანსა და თურქეთში არაერთხელ გადაუსახლებიათ ქართველობა. ირანში ყველაზე დიდი რაოდენობით შაჰ-აბასს გადაუსახლებია ჩვენი წინაპრები, რომელთა რიცხვი სხვადასხვა წყაროს მიხედვით 80-დან 120 ათასამდე მერყობს. ფერეიდნელი ქართველები სწორედ მათი შთამომავლები არიან, რომლებსაც კომპაქტურად დასახლების გამრ დაღმდეგ შეუნარჩუნებიათ მშობლიური ენა.

რა იყო თვალში საცემი ჩვენთვის ფერეიდნში ჩასვლისას? ჩვენ ნანახი გვექონდა გურამ პატარაის და ირაკლი ონოფრიშვილის ფილმი „შორია გურჯისტანამდე“, გაკვირვება გამოიწვია ასეთ მოკლე ხანში ფერეიდნის იერსახის ასეთმა ცვლილებამ, რევოლუციის მერე სრულიად ახალი იერი მიუღია ამ მხარეს. აღი-

ზით ნაშენი სახლები, უმრავლეს შემთხვევაში, თანამედროვე სტილის არქიტექტურის ნიმუშებს შეუდგებია.

ასევე თვალში საცემია სახელმწიფოს ზრუნვა ქვეყნის მომავალზე—ახალგაზრდობაზე, რომლის დასტურად ფერეიდნეში შაჰ-აბასის ცნობილი უნივერსიტეტის „ფაია-მე ნურის“ ფილიალის გახსნაც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ იმ მრავალ დაწყებით თუ საშუალო სკოლებსა და სასწავლებლებზე, რომლებიც ასე მომრავლებულა რევოლუციის მერე ფერეიდნში.

ჩვენ გვქონდა შეხვედრები მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან, მათ აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებთან, განათლების სისტემის მუშაკებთან, ქალაქის გამგეობის ხელმძღვანელობასა თუ სასულიერო პირებთან, რომლებთანაც საუბრებში კულტურულ ურთიერთობათა დამყარების დიდი სურვილი გამოსჭვოდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ემოციებით იქნებოდა დატვირთული ფერეიდნის ქუჩებში გავლა, სადაც ყველა გესალმება, გეპატივება შინ, ყველას სურს გამოხატოს, შენ მიმართ

სალიტერატურო ენა და დიალექტები

სიყვარული. მაგრამ ჩვენ დროის უკმარობის გამო ზერელე კითხვა-მოკითხვით ვიფარგლებოდით და გულდაწყვეტილები ვემშვიდობებოდით ერთმანეთს.

ასევე ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ამაღლებული იქნებოდა ჩვენთვის ოთხი საუკუნის წინანდელი მამა-პაპათა თავანკარა ქართულის მოსმენა. მოსმენა ქართული ენის უნიკალური ფერეიდნული დიალექტისა, რომელიც ჩვენი ემოციების სფეროზე მეტად ზოგადი ენათმეცნიერების ინტერესების სფეროს განეკუთვნება. მის კვლევაში ერთნაირად უნდა მიიღონ მონაწილეობა, როგორც კალ-კალკე, ისე ერთად, ქართველმა და ირანელმა ლინგვისტებმა. იგი კვლევის უმრეტელი წყარო იქნება.

დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ფერეიდნში ჩვენ მამა-პაპათა ერთი დიდი სადღესლო გამოგზავნა. თურმე მათი ლექსიკური ფონდი მეტად ღარიბია ურთიერთსაგინებელი სიტყვებით. მათთვის ყველაზე სალანძღავი სიტყვა „ყოლი“ ყოფილა.

ფერეიდანი ცენტრალური ირანის ბახთიარის მთებში მდებარეობს. ფერეიდნელებს ემეზობლებიან სხვადასხვა ირანული ტომების ხალხები, რომლებთანაც მათ მეტად კეთილმეზობლური და მეგობრული

ურთიერთობანი აქვთ. ირანელები დიდ პატივს სცემენ ფერეიდნელ ქართველებს, როგორც შრომისმოყვარე, პატიოსან, გონიერ და ზნეობით სასვე ხალხს.

აქვე მინდა დავუმატო, რომ ირანში არაერთხელ ვყოფილვარ და მათგან, როგორც ქართველს, ყოველთვის მიგრძნობიან განსაკუთრებული ყურადღება და სითბო. არ შეიძლება ირანელი გაიცნო და არ გაგიქრეს ის მტრის ხატი, რომელიც მათ შესახებ ობიექტური თუ არაობიექტური მიზეზების გამო ბოლო საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულა ჩვენს წარმოდგენაში.

ბოლოს კი ვასრულებ ჩვენი სისხლისა და ხორცის დანაბარებს და გადმოგვცემთ დიდ მოკითხვას იმ ხალხისა, რომლებსაც ოთხასი წელი ასე შემოუნახავთ ქართული იერი, მშობლიური ენა და სამშობლოს სიყვარული.

მათთვის ოთხი საუკუნე ოთხი წამი გამხდარა.

ნოვალე ბართაია

რედაქციის მინაწერი: ფერეიდნში გახსნილი „ფაია-მე ნურის“ ფილიალის გახსნა დააჩქარებს ფერეიდნელების გაქართობას, თუ უნივერსიტეტის ფილიალში ქართულის სწავლება არ დაიწყება.

ურბო სიტყვები

ინფორმაციის შეკრება-გავრცელება უძველესი წარსულიდან იღებს სათავეს, ცალკეული ცნობების გადაცემა ძველ ეგვიპტეში ზეპირად ან წერილობით ხდებოდა, განცხადებების დაფები არსებობდა ძველ რომსა და ჩინეთში. იუ-ლიუს კეისრის ეპოქის რომში ინფორმაციის გასავრცელებლად ბიულეტენები შემოიღეს. ხელნაწერი საინფორმაციო ფურცლების სახით წარმოდგენილი პირველი გაზეთი კი XVI საუკუნეში გაჩნდა.

ქურნალისტიკასთან დაკავშირებული ბევრი ტერმინი ფრანგულია. ქურნალი (journal) გაზეთის აღმნიშვნელ სიტყვად XVI საუკუნეში გამოიყენეს, XVII საუკუნეში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა, ასე უწოდეს წიგნის სახის პერიოდულ გამოცემას, ქურნალისტი—ქურნალ-გაზეთის გამოცემის საქმეს ემსახურება, ქურნალისტიკა კი—ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა.

ამჟერად, თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ფართოდ გავრცელებულ ტერმინებზე: რესპონდენტი, კორესპონდენტი, კორესპონდენცია, რომლებიც საერთო ლათინური ძირისაგან (responsum—პასუხის გაცემა) მიმდინარეობს. ამ ძირიდანაა მიღებული respons—პასუხი. თავიდან პასუხის, ხოლო მოგვიანებით გადაწყვეტილების მნიშვნელობით იგი XVIII საუკუნეში, პეტრე I-ის შეფობის დროს ყოფილა გავრცელებული რუსეთში. მაგრამ რესპონსი ენაში არ დამკვიდრდა და იგი ახლამა, იმავე ძირის სიტყვამ, რესპონდენტმა, შეცვალა ეს უკანასკნელი XX საუკუნის მიწურულს ქართულ ენაშიც გავრცელდა, თუმცა რესპონდენტის განმარტებას ვერ ნახავთ ვერც ერთ ბოლო დროს გამოცემულ ლექსიკონში, მაგრამ კონტექსტით

რთული არაა მისი მნიშვნელობის მიხედვრა.

რესპონდენტი (ლათ. respondens, respondentis—მოპასუხე) პირი, ვინც პასუხს სცემს ინტერვიუერის შეკითხვებს ან წერილობით ავსებს რაიმე ანკეტას.

მაშასადამე, რესპონდენტი მოპასუხე პირია, ამ სიტყვას იყენებენ სოციოლოგები (რესპონდენტთა ...%, ან გამოკითხულთა ...%), მაგრამ ასევე ხშირად გვხვდება ქურნალისტიკაში.

რესპონდენტისგან არის მიღებული მეორე უცხო სიტყვა კორესპონდენტი (ლათ. correspondeo—ვუპასუხებ, ვაუწყებ) აქ ლათინურმა co სუფიქსმა თანამშრომლობის აღმნიშვნელი სიტყვა აწარმოა. იგი ჯერ ევროპაში, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და ინტერნაციონალურ ნეოლოგიზმად იქცა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში კორესპონდენტის ამგვარი განმარტებაა: 1. გაზეთის, ქურნალის, რადიოსა და მისთ. თანამშრომელი, რომელიც ადგილიდან უგზავნის ცნობებს. 2. პირი, რომელსაც ვინმესთან მიმოწერა აქვს“ (მ. ჭაბაშვილი გამომც. „განათლება“, თბ., 1973).

კორესპონდენცია (ლათ. correspondentia) 1. კორესპონდენტის მიერ გაზეთის ან ქურნალისათვის გაგზავნილი წერილი, ცნობა. 2. საფოსტო-სატელეფონო გზავნილებათა (წერილების, დეპეშების) ერთობლიობა (იქვე).

ზემოთმოყვანილ სიტყვებს ხშირად წარმოთქამენ ან წერენ შეცდომით: რესპოდენტი, კორესპოდენტი, კორესპოდენცია. მართებული ფორმებია: რესპონდენტი, კორესპონდენცია, კორესპონდენტი.

მასალა მოამზადა სოფიო სულაბერიძემ

ს ი ბ უ ვ ა ტ ი ა ა ზ ი ლ ი

Table with 10 columns and 10 rows of Georgian letters in a crossword puzzle format.

წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა აკილის“ პასუხები: ვარსკვლავითი, ლაბირინთი, გუმბათი, ღმერთი, მითი, ბურთი, ზურთი, ათისათი, ხელკუთი, კაცხათი, სურათი, დღამართი, ელემენტო, საზღვარგარეთი, იატაკქვეშეთი, უკუღმართი, ნაბათი, წვეთი, დოღლოთი, კალათი, ჭოჭოხეთი, ბედოღლოთი, დიდუღლოთი, სურსათი, ადათი, თათი, შაბათი, ხმელეთი, მისამართი, შუამდინარეთი.

რედაქტორთა საბჭო: თინათინა მარტინაშვილი, ლია რუსაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), რუსუდან საღინაძე, სოფიო სულაბერიძე, ტინათინა შუბინაძე (მთავარი რედაქტორი), მარინა მარტინაშვილი, მათევენი მარტინაშვილი.

დირექტორი: ლეოლა ვაბრიძე, ვარლამ დათუაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: 19/06-311

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადინდა და დაბეჭდა გ. ტაბაძის სახ. ს/ს „სტამბაში“ მისამართი: ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33